



ევროკავშირის საგზაო რუკები სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის

2014 – 2017 წწ.

სახელმძღვანელო

ვერსია 1.0 - დეკემბერი 2013 წ.

შესავალი

ამ სახელმძღვანელოს შემუშავების მიზანია ხელი შეუწყოს ევროკავშირის წარმომადგენლობებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოებასთან უფრო სტრატეგიული თანამშრომლობის დამყარებაში.

ეს სახელმძღვანელოები შემუშავდა 2012 წლის "სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე ევროკავშირის კომიუნიკეს" პრიორიტეტების ადგილზე განხორციელებისათვის კონკრეტული ქმედებების მეშვეობით¹. ეს პრიორიტეტებია:

1. პარტნიორ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობის ძალისხმევის გაძლიერება;

¹ COM(2012) 492: [The roots of democracy and sustainable development: Europe's engagement with Civil Society in external relations](#);

2. პარტნიორი ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში, ევროკავშირის პროგრამების ციკლში და საერთაშორისო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აზრიანი და სტრუქტურირებული თანამონაწილეობის ხელშეწყობა.
3. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მათი, როგორც განვითარების პროცესებში დამოუკიდებელი აქტორების როლის შესრულების შესაძლებლობის გაძლიერება.

გარდა ამისა, სახელმძღვანელო ითვალისწინებს ევროკავშირის საბჭოს 2012 წლის ოქტომბრის დასკვნებსა (14535/12) და 2013 წლის ოქტომბრის ადგილობრივი ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე ევროპარლამენტის რეზოლუციას (N. 2012/ 2288 (INI)).

საგზაო რუკა უნდა შემუშავდეს არსებული ანალიზის საფუძველზე, მათ შორის ევროკავშირის ადამიანის უფლებათა სტრატეგიებს სამიზნე ქვეყნებისათვის და კონცეფციებს, რომლებიც შემუშავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თემატური პროგრამის (CSO-LA) ფარგლებში.

საგზაო რუკა უნდა შემუშავდეს მკაფიო სქემის საფუძველზე, რომელშიც ყურადღებით იქნება გათვალისწინებული ამ სახელმძღვანელოში განსაზღვრული საკითხები და კითხვები. ამისდა მიუხედავად, საკითხები ადაპტირებული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის კონტექსტისათვის.

საგზაო რუკა შედგება ხუთი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან:

პირველი და მეორე ნაწილი იძლევა ანალიტიკურ საფუძველებს საგზაო რუკისათვის, სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობისა და ევროკავშირის ჩართულობის განხილვის მეშვეობით. მესამე და მეოთხე ნაწილები თავის მხრივ განსაზღვრავენ ევროკავშირის პრიორიტეტებს და ქმედებებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად 2014-2017 წლებისა და შემდგომ პერიოდში. და ბოლოს, მეხუთე ნაწილი უზრუნველყოფს საგზაო რუკის პროცესების ზედამხედველობის საფუძველებს. ეს ხუთი ნაწილი მოკლედ აღწერილია ქვემოთ:

1. **სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის ანალიზი** . ნათელი გაგება არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტორებისა და სამოქმედო გარემოსი, რომელშიც მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოება, მასთან ქვეყნის დონეზე უფრო სტრატეგიული ჩართულობის წინაპირობაა;
2. **ევროკავშირის არსებული ჩართულობის შეფასება**. ეს გულისხმობს ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოებასთან არსებული თანამშრომლობის შეფასებას (მათ შორის, ნებისმიერი არსებულ კოორდინაციასა ან სამუშაოს განაწილებას). სათანადო შემთხვევებში, ეს ასევე მოიცავს კოორდინაციას სხვა დონორებთან;
3. **სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრა**. პრიორიტეტები განსაზღვრული უნდა იყოს ანალიზის საფუძველზე ქვეყნის დონეზე და ეფუძნებოდეს კომიუნნიკეში განსაზღვრულ ევროკავშირის მიერ დახმარების აღმოჩენის მთავარ პრიორიტეტებს;
4. **ქმედებების ჩამოყალიბება** ეს ნაწილი საშუალებას აძლევს ევროკავშირის წარმომადგენლობებსა და წევრ სახელმწიფოებს შეთანხმდნენ და ჩამოაყალიბონ კონკრეტული ქმედებები განსაზღვრული პრიორიტეტების მხარდასაჭერად. ქმედებები შეიძლება მოიცავდეს ანალიზს, სტრატეგიულ და პოლიტიკურ დიალოგსა და დაფინანსებას; და
5. **ცხრილი პროცესისა და შედეგების აღრიცხვისათვის**.

ეს სახელმძღვანელო და მასთან დაკავშირებული ფორმა გაზიარებულ უნდა იყოს კონკრეტულ ქვეყანაში წარმოდგენილ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, მათი საწყისი ეტაპიდანვე ჩართვის მიზნით. შესაბამის შემთხვევებში ასევე ჩართულნი უნდა იყონ სამოქალაქო საზოგადოებასთან მომუშავე სხვა, არა-ევროკავშირის დონორები.

ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგს და მისი ჩართულობას საკვანძო მნიშვნელობა აქვს ამ საგზაო რუკის თანამფლობელობის, ხარისხისა და წარმატებულობის უზრუნველსაყოფად. ძირითადი პრინციპია ის, რომ ყოველ ქვეყანას თავისი სპეციფიკა გააჩნია და კონსულტაციებისას გამოყენებული მიდგომა ამას უნდა ითვალისწინებდეს. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგისა და კონსულტაციებისას გამოყენებული იყოს შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- უნდა შემუშავდეს კალენდარი, რომელშიც განსაზღვრული იქნება თუ როდის და როგორ იქნება მიღწეული ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობა;
- მათ, ვისთანაც ხორციელდება კონსულტაცია, დროულად უნდა მიეცეთ წვდომა სათანადო დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე, რათა შეძლონ სათანადოდ მოზადება;
- კონსულტაციებმა უნდა ასახონ სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნება. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ადექვატურობას, წარმომადგენლობითობასა და ინკლუზიურობას, ისე რომ წარმოდგენილი მონაწილეები იყვნენ სანდო და წარმომადგენლობითი შუამავლები კონკრეტული მოთხოვნილებების მქონე შესაბამისი სექტორებისათვის/აქტორებისათვის;
- კონსულტირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დიაპაზონი ბევრად უნდა სცდებოდეს ევროკავშირის საგარეო დახმარების მიმღებ ბენეფიციარებს და შესაძლებლებისდაგვარად, უნდა მოიცავდეს როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ორგანიზაციებს; საერო და რწმენაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს და ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობებისა და მარგინალურ ჯგუფებს. შესაძლებლებისდაგვარად, ასევე ხელი უნდა შეეწყოს თანამშრომლობას კვლევით ინსტიტუტებთან, ფონდებთან, კოოპერატივებთან, პროფესიულ და ბიზნეს ორგანიზაციებთან , პროფესიული კავშირებთან და დამსაქმებელთა ორგანიზაციებთან . და ბოლოს, ქვეყანაში მძლავრად წარმოდგენილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე იქნებიან სასარგებლო პარტნიორები პროცესში;
- კონსულტაციებმა უნდა მოიცვას შესაძლებლებისდაგვარად რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარე, მრავალფეროვანი პლატფორმებისა და მედია საშუალებების, მათ შორის ინტერნეტ-გვერდების, სოციალური მედიისა და ა.შ., გამოყენებით.
- კონსულტაციები უნდა შეიცავდეს დებულებებს უკუკავშირისა და საკითხის მოგვიანებით გადამოწმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სადაც ეს შესაძლებელია, ასევე რეკომენდირებულია კონსულტირება ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლებასთან, მათ შორის იმ მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რომელიც მას აკისრია სამოქალაქო საზოგადოებისათვის საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს განსაზღვრასთან, დაცვასთან და ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

საგზაო რუკა უნდა დამტკიცდეს ქვეყნის დონეზე, ქვეყანაში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ან თუ ეს შესაძლებელია, დონორთა გაფართოებული ჯგუფის მიერ. საგზაო რუკები არ საჭიროებენ DECVO-ს ან EEAS-ის თანხმობას, მაგრამ დამტკიცების შემდეგ უნდა მოხდეს ინფორმირების, ანგარიშგებისა და კაპიტალიზაციის მიზნით მათი გაზიარება DECVO-სა და EEAS-სთან. საგზაო რუკის პირველი ვერსიის მოქმედების ვადაა 2014-2017 წლები. და მაინც, საგზაო რუკები უნდა აღიქმებოდეს როგორც უწყვეტი პროცესი და უნდა ხდებოდეს მათი ყოველწლიურად, იანვრის თვეში და ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებების კონტექსტში განახლება.

როგორც ეს მითითებულია კომიუნიკეში, შესაბამის შემთხვევებში დამტკიცების შემდეგ საგზაო რუკები საჯარო უნდა გახდეს. თუმცა, ზოგიერთ კონტექსტში სრული გასაჯაროება შეიძლება კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს. რეკომენდირებულია, რომ თითოეულმა ქვეყნამ შეაჯამოს შეთანხმებული პრიორიტეტები და ქმედებები მოკლე ვერსიაში, რითიც ხელი შეეწყობა ევროკავშირის ქმედებების ხილვადობისა და პროგნოზირებადობის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა მეტად სასურველია ევროკავშირის წარმომადგენლობებმა და ევროკავშირმა წევრმა სახელმწიფოებმა აქტიურად გამოიყენონ პრესრელიზები, საიტები და ა.შ.

საგზაო რუკასთან დაკავშირებული შიდა ანგარიშგება განხორციელდება საგზაო რუკის ყოველწლიური განახლების მეშვეობით.

უფრო დეტალური ინფორმაცია საგზაო რუკის ხუთი ძირითადი ნაწილის შესახებ მომდევნო გვერდებზეა მოცემული. ამ სახელმძღვანელოსთან და სამომავლო პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული კითხვებით მიმართვა შეიძლება DEVCO B2-ზე შემდეგ მისამართზე: EUROPEAID-B2@ec.europa.eu.

1 სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობა

ნათელი გაგება არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ასპარეზზე მოქმედი მხარეებისა და სამოქმედო გარემოსი, რომელშიც მოქმედებს სამოქალაქო საზოგადოება, მასთან ქვეყნის დონეზე უფრო სტრატეგიული ჩართულობის წინაპირობაა; აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის მიზანია წარმოადგინოს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამი ძირითადი პრიორიტეტი: i) ხელშემწყობი გარემო; ii) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და iii) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობა, განახორციელონ განვითარების პროცესში დამოუკიდებელი მოქმედი მხარის როლი.

1.1 ხელშემწყობი გარემო

„როგორც აღნიშნა კომიუნიკეში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ფუნქციონირება დამოკიდებულია ქმედით, დემოკრატიულ საკანონმდებლო და სამართლებრივ სისტემაზე - რაც მას იურიდიულადაც და პრაქტიკაშიც გაერთიანებისა და დაფინანსების მიღების საშუალებას აძლევს, რასაც ემატება თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მთავარი პირობების უზრუნველყოფასა და ხელშემწყობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

ამ ნაწილის მიზანია, რომ ევროკავშირის წარმომადგენლობებმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გააანალიზონ ეს განზომილებები არსებულ ანალიტიკურ მასალაზე, განსაკუთრებით ქვეყნებისათვის ევროკავშირის ადამიანის უფლებათა სტრატეგიებზე, დაყრდნობით. ამ ნაწილის მოზადებისას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები გათვალისწინებული და მორგებული უნდა იყოს შესაბამისი ქვეყნის კონტექსტზე:

<p>ძირითადი იურიდიული უფლებები</p>	<p>რა მდგომარეობაა კანონსა და პრაქტიკაში სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით? ეს მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების უფლებებს, როგორცაა ფორმალური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სარეგისტრაციო პროცედურები, თავისუფალი და დამოუკიდებელი ფუნქციონირება და თანამშრომლობის მოქალაქეებს შორის და არაპროპორციული ან უსაფუძვლო სახელმწიფო ჩარევის არარსებობა.</p>
<p>საორგანიზაციო და ფინანსური სტაბილურობა</p>	<p>რა პროცედურები არსებობს უცხოური თუ ადგილობრივი დაფინანსების მოპოვებისათვის - კანონმდებლობასა და პრაქტიკაში? რამდენად აქვს ხელისუფლებას მიღებული პოზიტიური ზომები მოხალისეობისათვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საზოგადოებრივი დაფინანსებისათვის ან (ფისკალური) წახალისებები ადგილობრივი ფონდების მობილიზაციისათვის, როგორცაა, მაგალითად, ხელსაყრელი საგადასახადო წესები კერძო შემოწირულობების, საწევრო შენატანებისა და ქველმოქმედებისათვის?</p>
<p>საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა</p>	<p>რამდენად მზად არიან ხელისუფალნი ეროვნული და სექტორული პოლიტიკის შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვისათვის? არსებობს თუ არა ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი ფუნქციონირებადი პლატფორმები, რომლებიც შედეგზე ორიენტირებული მრავალმხრივი დიალოგის საშუალებას იძლევა? იძლევა თუ არა ხელისუფლება, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის თავისუფალი, მკაფიო და ხელმისაწვდომი მიმოცვლის საშუალებას?</p>
<p>სხვა კონტექსტუალური ფაქტორები</p>	<p>კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის შესაბამისად, მიუთითეთ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშემწყობ გარემოსთან, მათ შორის რაიმე კონკრეტული პრობლემატიკა დაკავშირებული მყიფე სახელმწიფოების ან / და ქვეყნებთან სადაც მაღალია კონფლიქტის საფრთხე.</p>

1.2 მონაწილეობა და როლები

ამ ნაწილის მიაზნია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი მთავარი პარტნიორების იდენტიფიცირება ევროკავშირთან დიალოგისა და მისი მხრიდან მუშაობაში მხარდაჭერისათვის. ამოცანა მდგომარეობს ზოგადად მითითებაში იმ სფეროებისა სადაც არსებობს სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული მასა და მისი გავლენის მტკიცებულება. რეკომენდირებულია ყურადღების გამახვილება შემდეგ ზოგად სფეროებზე:

- მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის ფორმულირებასა და რეფორმაში, მათ შორის, საბიუჯეტო პროცესებში;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- მომსახურების უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური და მდგრადი ზრდა; და
- კონფლიქტის პრევენცია, მშვიდობის დამყარება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება

ამოცანა მდგომარეობს იმის გარკვევაში, თუ რომელ სფეროებშია სამოქალაქო საზოგადოება წამყვანი გავლენის მქონე ძალა, და პირიქით, რომელ სფეროებშია ის მარგინალიზებული, მაგრამ შეიძლება გააჩნდეს განუხორციელებელი პოტენციალი.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის შეფასებისას, მნიშვნელოვანია აქტორების მრავალფეროვნების გათვალისწინება: ევროკავშირი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოიცავს ყველა არასახელმწიფო, არაკომერციულ, არაპარტიულ და არამალადობრივ სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ერთიანდებიან საერთო მიზნებისა და იდეალების, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური, განსახორციელებლად. მოქმედებენ რა ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე, ისინი მოიცავენ ქალაქისა და სოფლის, ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებს, რელიგიურ ნიადაგზე დაფუძნებული ორგანიზაციებს, ფონდებს, კვლევით ინსტიტუტებს, პროფკავშირებსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, პროფესიულ და ბიზნეს ასოციაციებს, და არაკომერციულ მედიას. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მოძრაობათა ახალი და უფრო მოქნილი ფორმები.

შემდეგი საკითხები გათვალისწინებული და ადაპტირებული უნდა იყოს ადგილობრივ კონტექსტში:

საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმულირებაში მონაწილეობა

როგორია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის დონე პოლიტიკური რეფორმების პროცესსა და საჯარო პოლიტიკისა და ბიუჯეტის შემუშავებაში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე? ეს მოიცავს ასევე სტრატეგიულ სფეროებს განვითარების სფეროს მიღმაც, როგორცაა ვაჭრობა, კლიმატის ცვლილება, და მიგრაციის პოლიტიკა. რამდენად შეუძლიათ სამოქალაქო ორგანიზაციების განახორციელონ ეფექტური ზეგავლენა ამ პროცესებზე ანალიზისა და თანამონაწილეობის მეშვეობით?

გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

რამდენად აქტიური არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შიდა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სფეროში (მაგ. ინფორმაციით უზრუნველყოფის, კანონების ეფექტურად განხორციელების მონიტორინგის, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების თაობაზე საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილების, სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების შესწავლის და ა.შ. მეშვეობით)? რამდენად ეფექტურია ეს ქმედებები ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე?

მომსახურების უზრუნველყოფა

შესაბამის შემთხვევებში, რამდენად ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მომსახურების უზრუნველყოფაში, მათ შორის, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენაში? რამდენად არის ამ სფეროში მათი მუშაობა ნაწილი მრავალ-მონაწილიანი პარტნიორობებისა, რომლებიც აღიარებენ ხელისუფლების (ცენტრალურ და ადგილობრივ) პირველად პასუხისმგებლობას მომსახურების აღმოჩენასთან დაკავშირებით?

ინკლუზიური და მდგრადი ზრდა

რამდენად აქტიური მოთამაშეები გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეკონომიკის სფეროში, ინიციატივებით, რომლებსაც გავლენა აქვთ (სოციალურ) ეკონომიკაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს კოოპერატივების, ფონდებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლების შესწავლაში მეწარმეობისა და სამუშაო ადგილების შექმნაში ადგილობრივი თემების მობილიზაციის, მომსახურების მიწოდებისა და შემოსავლის მომტანი საქმიანობების სტიმულირებით ღარიბი და მარგინალური ჯგუფებისათვის.

კონფლიქტის პრევენცია, მშვიდობის დამყარება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება

რა როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას მშვიდობის ხელშეწყობის, კონფლიქტის მოგვარებისა და სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში?

1.3 შესაძლებლობები

კომმუნიკებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ევროკავშირის მიერ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანიზაციების შესაძლებლობათა გაძლიერება, გრძელვადიანი, მოთხოვნაზე ორიენტირებული და მოქნილი მიდგომის საფუძველზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სამიზნე ჯგუფების გაძლიერებასა და ორგანიზაციების წარმომადგენლობითობას.

ამ თვალსაზრისით, ამ ნაწილის მიზანია იმ სფეროების განსაზღვრა, სადაც ყველაზე მეტადაა საჭირო შესაძლებლობათა გაძლიერება, მათ შორის შეზღუდვები ტექნიკური მართვისა და ლიდერობის უნარის, შიდა მმართველობა და ხელისუფლებასთან დიალოგის წარმართვის უნარი, რათა ზეგავლენა მოხდეს პოლიტიკაზე და განხორციელდეს სახელმწიფო პოლიტიკისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგი.

აქ შეიძლება მითითებულ იყოს სხვადასხვა თვითრეგულირების ინიციატივები, როგორცაა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის სტამბულის პრინციპები და სხვა, კონკრეტული ორგანიზაციის შესაბამისი ვალდებულებათა ქარტიები და ეროვნული ქცევის/ეთიკის კოდექსები ⁽²⁾.

გათვალისწინებული უნდა შემდეგი საკითხები:

² The Istanbul CSOs Development Effectiveness Principles are available through the following link: <http://cso-effectiveness.org/istanbul-principles.067>

ლეგიტიმურობა, სანდოობა და შიდა მმართველობა

რამდენად ლეგიტიმური და სანდო არიან სხვადასხვა კატეგორიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სამიზნე ჯგუფების განვითარების, ლიდერობის, დამოუკიდებლობისა და შიდა მმართველობის თვალსაზრისით?

პროგრამებისა და პროექტების მენეჯმენტი

რამდენად ეფექტური არიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა სხვადასხვა კატეგორიები დაფინანსების მოძიების, პროგრამის ფორმულირების, შედეგების განსაზღვრის, ფინანსური მენეჯმენტის, შეფასებისა, და ა.შ. კუთხით?

კვლევა და ადვოკატირება

რამდენად არის ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების აღჭურვილი კვლევისა და ეფექტური ადვოკატირების ჩატარებისათვის? ეს მოიცავს უნარების ფართო დიაპაზონს, მათ შორის კვლევის ტექნიკა, საქმის მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა, ლობირება, მოლაპარაკებებისა და კომუნიკაციის უნარი, რამაც მთლიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას უნდა მისცეს საშუალება უკეთ განსაზღვროს, გაიგოს, გააანალიზოს, წარმოადგინოს და იმოქმედოს/გადაამოწმოს საბიუჯეტო და პოლიტიკის საკითხები.

ორგანიზება, კორდინაცია და თანამშრომლობა

რამდენად არის ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება ორგანიზებული თემატურ და ზოგად პლატფორმებსა და ალიანსებში საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე? არსებობს თუ არა კავშირები არსებობს რეგიონალურ და გლობალურ ქსელებთან, კვლევით საზოგადოებებსა და პლატფორმებთან?

2 არსებული თანამშრომლობა ევროკავშირთან

მეორე ნაწილის მიზანია ასახოს სამოქალაქო საზოგადოებასთან ევროკავშირის არსებული ჩართულობის მიზნობრიობა და ეფექტურობა, ქვეყნის დონეზე ევროკავშირის სამომავლო ჩართულობის პრიორიტეტებისა და ქმედებების განსაზღვრისას გამოსაყენებლად.

შეფასება აქცენტირებული უნდა იყოს ევროკავშირის მთელ ჩართულობაზე, მისი წევრი სახელმწიფოების ჩართულობის ჩათვლით. სადაც ეს შესაძლებელი და სათანადოა, გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე დონორები არა-ევროკავშირის ქვეყნებიდანაც.

შეფასებამ უნდა განიხილოს სამოქალაქო საზოგადოებასთან ევროკავშირის დიალოგის ხარისხი და ასევე, მიმდინარე მხარდაჭერა პოლიტიკური დიალოგისა და ფუნქციონირების ხელშეწყობის ჩათვლით.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება აისახოს სამოქალაქო საზოგადოების "მეინსტრუმენტის" წინსვლა სხვადასხვა სექტორისა და ინსტრუმენტის, ასევე პოლიტიკური დიალოგის მიმართულებით.

და ბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ევროკავშირის წარმომადგენლობებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სხვა შესაბამის დონორებს შორის კოორდინაციის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხელშეწყობის კოორდინაციის, გაუმჯობესების პოტენციალის შეფასება.

2.1 ევროკავშირის სტრუქტურირებული დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან

სტრუქტურირებული დიალოგი

რა მექანიზმები გამოიყენება ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ევროკავშირის კონსულტაციებისა და დიალოგისათვის? რა დონის ინფორმაციაა წინასწარ მიწოდებული? რამდენად ინკლუზიურია კონსულტაციები? ვინ მონაწილეობს, როგორც წესი? ვინ ადგენს დღის წესრიგს? ოცავს დღის წესრიგი უფრო ფართო პოლიტიკის საკითხებს, მათ შორის დაკავშირებულს " პოლიტიკის თანმიმდევრულობასთან განვითარებისათვის"(Policy Coherence for Development)? როგორია ტიპური შედეგები? როგორ არის უზრუნველყოფილი შემდგომი ქმედებები ?

2.2 პოლიტიკური დიალოგი დიალოგი ხელშემწყობი გარემოს

შესაქმნელად

არსებული
ჩართულობის
ხასიათი

როგორია ევროკავშირის ამჟამინდელი ჩართულობა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს ხელშეწყობისათვის? რამდენად გამოიყენა ევროკავშირმა თავისი პოლიტიკური პოზიცია და ბერკეტები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის დამოუკიდებლად მოქმედების სივრცის დასაცავად? რა კონკრეტული ქმედებები განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში, და რამდენად ეფექტური იყო ისინი?

2.3 სამოქალაქო საზოგადოების "მეინსტრიმინგი"

მეინსტრიმინგი
ევროკავშირის
თანამშრომლობის
ს ფარგლებში

რამდენად რეალურად არის განხორციელებული ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების "მეინსტრიმინგი" ევროკავშირის თანამშრომლობის პროცესებში (მაგ. პროგრამების შედგენა), თანამშრომლობის სექტორებსა და ინსტრუმენტებში (მათ შორის, საბიუჯეტო დახმარების ოპერაციები)? რამდენად შეძლო ევროკავშირმა კომპლიმენტარიზმის უზრუნველყოფა სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის გეოგრაფიულ და თემატურ ინსტრუმენტებს შორის? სათანადო შემთხვევებში მიუთითეთ კონკრეტული მაგალითები.

2.4 კოორდინაცია

<p>ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და სხვა შესაბამისი მხარეები</p>	<p>ევროკავშირის რომელი წევრი სახელმწიფოებია აქტიური და რომელი მათგანი ახორციელებს მნიშვნელოვან საქმიანობის სამოქალაქო საზოგადოებასთან? არსებობს გასათვალისწინებელი სხვა შესაძლო წამყვანი საერთაშორისო დონორები, როდესაც საქმე ეხება სამოქალაქო საზოგადოების ?</p>
<p>არსებული კოორდინაციის მექანიზმი</p>	<p>ხდება თუ არა ევროკავშირის წარმომადგენლობასა და წევრი სახელმწიფოებს (და სხვა საერთაშორისო სუბიექტებს) შორის რეგულარული კოორდინაცია სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე წარმომადგენლობის, პოლიტიკური განყოფილების ან განვითარების განყოფილებების ხელმძღვანელების დონეზე? რა ტიპის საკითხები განიხილება ამ შეხვედრებზე?</p>
<p>ინფორმაციის გაცვლა</p>	<p>რამდენად აქვთ ევროკავშირის წარმომადგენლობებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს (და სხვა საერთაშორისო სუბიექტებს) შემუშავებული სისტემები და ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ერთობლივი ქმედებებსა და კოორდინაციას (მაგ. ეფექტური პლატფორმები ინფორმაციის გასაცვლელად დაფინანსებული პროექტების, მხარდაჭერილი პარტნიორები, ს ღონისძიებათა კალენდრის, კარგი პრაქტიკის, ჩატარებული კვლევებისა და ა.შ. თაობაზე)?</p>
<p>ერთობლივი მოქმედებები</p>	<p>არსებობს თუ არა ერთობლივი ინიციატივები , განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი ქვეყნებთან ერთად: ერთობლივი ანალიზი (მაგ. mapping-ი), რამდენად ურთიერთმემავესებელია განხორციელებული ღონისძიებები გეოგრაფიულ და თემატური დონეზე? არსებობს თუ არა შესაძლებლობების განვითარების ერთობლივი დაფინანსების სქემები?</p>
<p>შრომის განაწილება</p>	<p>განიხილება თუ არა ევროკავშირის წარმომადგენლობის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა დონორებს შორის დახმარების რაციონალიზაცია ან მუშაობის რაიმე სახით განაწილება?</p>

2.5 მიღებული გაკვეთილები

<p>მიღებული გაკვეთილები</p>	<p>დღეისათვის რა ძირითადი გაკვეთილებია მიღებული (დადებითი და ნაკლებად დადებითი) სამოქალაქო საზოგადოებასთან ევროკავშირის ჩართულობიდან?</p>
<p>ზიანის არ მოტანა</p>	<p>რომელია ყველაზე პრობლემატური სფეროები ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მიმართ დონორების მიდგომისა და მხარდაჭერის მექანიზმების თვალსაზრისით? დამკვიდრებული პრაქტიკიდან, რას შეიძლება ჰქონდეს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა სამოქალაქო საზოგადოების , როგორც დამოუკიდებელი განვითარების აქტორის კონსოლიდაციაზე?</p>

3 პრიორიტეტები

გრძელვადიანი ხედვა, რომელიც საფუძვლად უდევს სამოქალაქო საზოგადოებასთან ჩართულობას, საგზაო რუკის მესამე ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენს. კომიუნიკე სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე განსაზღვრავს რიგ სფეროებს, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ განვითარებისა და მმართველობის მიმართულეების გაძლიერებაში.

ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ამოცანაა სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე კომიუნიკეს სამი პრიორიტეტის კონტექსტუალიზაცია თითოეული ქვეყანის რეალობის შესაბამისად, 1 და 2 ნაწილებში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე.

მაგალითისათვის, შესაძლებელია, რომ ხელშემწყობი გარემოს ანალიზში (ნაწილი 1.1) გაკეთდეს დასკვნა, რომ ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა შესაძლოა წარმოადგენდეს მთავარ დაბრკოლებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაზრდილი თანამონაწილეობისათვის. ანალოგიურად, შესაძლებელია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის ანალიზში (ნაწილი 1.2) გამოავლინოს კონკრეტული სფერო, რომელშიც არსებობს სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობის არარეალიზებული პოტენციალი, რომლის რეალიზაცია,ს თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს ევროკავშირმა.

კონტექსტუალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ საგზაო რუკები მოიცავს რეგიონების ფართო სპექტრს (აფრიკა, კარიბის ზღვის აუზი, წყნარი ოკეანის რეგიონი, აზია, ლათინური ამერიკა და ევროპის სამეზობლო) და ასევე მრავალფეროვან სიტუაციებს, უაღრესად არასტაბილური პოლიტიკური კონტექსტის ჩათვლით. კონტექსტუალიზაცია ასევე საგზაო რუკის თანაზიარობის ქვაკუთხედი.

პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი მოითხოვს კონსულტაციების პროცესს სხვადასხვა დონეზე : ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, მასპინძელ ქვეყანასთან, სხვა საერთაშორისო მხარეებთან და რაც ასევე მნიშვნელოვანია, თავად სამოქალაქო საზოგადოებასთან.

სწორედ თითოეულ ქვეყანაში ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებმა უნდა გადაწყვიტონ შესარჩევი პრიორიტეტების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, შედეგიანობის გაზრდის მიზნით სასურველია პრიორიტეტების ყურადღებით შერჩევა, რათა არჩეულ იყოს ისეთი პრიორიტეტები, რომლებიც მიზანშეწონილი და განხორციელებადია, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ჩართული მხარეების სპექტრი და რამდენად ხელთ ეწიფებათ ევროკავშირის წარმომადგენლობებს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და სხვა ჩართულ მხარეებს ხელი შეუწყონ კონკრეტული რეფორმისა და შესაძლებლობების განვითარების პროცესებს.

პრიორიტეტები გრძელვადიანი პერსპექტივით უნდა ჩამოყალიბდეს. სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოსა და საზოგადოების გაძლიერებას დრო დასჭირდება და ევროკავშირის დახმარების სტრატეგიები ამ მიზანზე უნდა იყოს მორგებული. შეთავაზებულია, შემუშავდეს ისეთი პრიორიტეტები, რომელთა შინაარსიანი განვითარება შესაძლებელი იქნება 2014-2017 წლების პერიოდისათვის. ზღვრულმა ვადებმა შეიძლება კიდევ უფრო გადაიწიოს, თუ ეს გამართლებული იქნება მომავალი გამოწვევების ხასიათით. ესეთი სიტუაცია შესაძლებელია, მაგალითად, არამდგრადი სახელმწიფოებისა ან შეზღუდული გარემოს მქონე სახელმწიფოების შემთხვევებში.

საბოლოოდ, პრიორიტეტების განსაზღვრა მჭიდროდ უნდა იყოს მიბმული სასურველი ცვლილებების ინდიკატორების განსაზღვრაზე. როგორ შეიძლება პრიორიტეტების მიღწევების შეფასება? რა კონკრეტული ცვლილება შეიძლება მოხდეს და როგორ შეიძლება მისი გაზომვა? სავარაუდოდ როდის მოხდება ეს ცვლილება? აქ ასევე მნიშვნელოვანი იქნება აღინიშნოს შეფასების მექანიზმები და აღინიშნოს თუ როდის მოხდება მოსალოდნელი ცვლილება.

4 ქმედებები

მეოთხე ნაწილში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტების მისაღწევად საჭირო ქმედებები. საგზაო რუკა უნდა იყოს სანავიგაციო ინსტრუმენტი, რომელიც გაუძღვება ევროკავშირის წარმომადგენლობასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოებასთან მათ ჩართულობაში. შესაბამისად, მოქმედებები უნდა ასახავდნენ სტრატეგიულ ხედვასა და ადგილზე არსებული რეალობას ანალიზს.

ქმედებები შეიძლება მოიცავდეს ევროკავშირის წარმომადგენლობისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების განკარგულებაში არსებულ ყველა ზომას, მათ შორისაა:

- **ანალიზი:** ცოდნის გენერაცია კვლევების, "მეფინგის" და შეფასებების მეშვეობით, რთა სათანადოდ იყო გაგებული ადგილზე რეალობა, სათანადო პარტნიორების განსაზღვრის ჩათვლით.
- სტრატეგიული და პოლიტიკური დიალოგი, კონსულტაცია და ხელშეწყობა. ეს შეიძლება მოიცავდეს დიალოგსა და კონსულტაციებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, დიპლომატიასა და პოლიტიკური დიალოგს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და თანამშრომლობას სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან. სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობა განსაკუთრებით მიზანშეწონილი მიმართულებათ.

- დაფინანსება გეოგრაფიული და თემატური ინსტრუმენტების (დახმარების ყველა მექანიზმის) გამოყენებით. საჭიროებებზე მორგებული დაფინანსება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსება არა მხოლოდ მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას, მაგრამ ასევე მუშაობას ხელისუფლებასთან - განსაკუთრებით ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიმართულებით. როგორც აღინიშნა კომმუნიკეში სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე, ევროკავშირი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდას სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსტრუქციულად თანამშრომლობის მიმართულებით, ნდობისა და კომპეტენციის ზრდას, დიალოგისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება პოლიტიკურ დიალოგსა და ყველა ინსტრუმენტსა და პროგრამებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან უფრო სტრატეგიული ჩართულობის მეინსტრიმინგის შესაძლებლობების იდენტიფიცირება თანამშრომლობის ყველა სექტორში, მათ შორის, საბიუჯეტო მხარდაჭერის მიმართულებით.

მოქმედებები შეძლებისდაგვარად ერთობლივად უნდა განახორციელონ ევროკავშირის წარმომადგენლობებმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა. სათანადო და მიზანშეწონილ შემთხვევებში ასევე ჩართულნი უნდა ყონ სხვა დონორებიც.

შესაბამისად, საგზაო რუკები პრაქტიკაში გამოყენებული უნდა იყოს როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობებს, წევრ სახელმწიფოებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის (შიდა და გარე) გაძლიერებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების (მათ შორის რაციონალიზაციით / შრომის დანაწილებისა და ერთობლივი პროგრამირების მეშვეობით) მამოძრავებელი მუხტი.

პრიორიტეტების მისაღწევად გასახორციელებელი მოქმედებები უნდა დაკონკრეტდეს თანდართული ცხრილის მიხედვით. ცხრილი ყველა ჩართულმა მხარემ უნდა შეავსოს.

მოქმედებებთან ცხრილები

პრიორიტეტი 1
[მიუთითეთ პრიორიტეტი წინა ნაწილიდან (<u>პრიორიტეტები</u>)]
მაჩვენებელი/მაჩვენებლები
[მიუთითეთ შესაბამისი მაჩვენებელი/მაჩვენებლები წინა ნაწილიდან (<u>პრიორიტეტები</u>)]
მოქმედებები:
A. ანალიზი: კვლევები, "მეფინგი" და შესწავლა
[მაგ. "მეფინგი", კვლევები ან ანალიზი რომელიც უნდა განხორციელდეს]
[მიუთითეთ ვინ არის პასუხისმგებელი (ევროკავშირის წარმომადგენლობა, წევრი სახელმწიფოები, სხვა დონორები და დაინტერესებული მხარეები), შესაბამის შემთხვევებში მიუთითეთ ერთობლივი მოქმედებები]
A. პოლიტიკის საკითხებზე დიალოგი , კონსულტაცია და ხელშეწყობა
[მაგ. ძირითადი გზავნილები , დაინტერესებული მხარეები , პარტნიორები, შესაფერისი პლატფორმები და კოორდინაციის გზები]
[მიუთითეთ ვინ არის პასუხისმგებელი (ევროკავშირის წარმომადგენლობა, წევრი სახელმწიფოები, სხვა დონორები და დაინტერესებული მხარეები), შესაბამის შემთხვევებში მიუთითეთ ერთობლივი მოქმედებები]
B. დაფინანსება: ოპერაციული მხარდაჭერა, მეინსტრუქციის ჩათვლით
1) ჩამოთვალეთ ინსტრუმენტები და პროგრამები, რომლებიც გამოყენებული იქნება, მეინსტრუქციის ჩათვლით
2) შესაბამის შემთხვევებში მიუთითეთ კონკრეტული სამუშაო ფორმატები
[მიუთითეთ ვინ არის პასუხისმგებელი (ევროკავშირის წარმომადგენლობა, წევრი სახელმწიფოები, სხვა დონორები და დაინტერესებული მხარეები), შესაბამის შემთხვევებში მიუთითეთ ერთობლივი მოქმედებები]
პრიორიტეტი 2 , 3, 4 ... გამოიყენება იგივე მიდგომა

5 საკონტროლო ცხრილი

მეხუთე ნაწილის მიზანია ერთ გვერდზე წარმოადგინოს პროცესის მიმდინარეობისა და შედეგების მიმოხილვა. ამ ინდიკატორების შესაბამისი მიღწევები ყოველწლიურად, იანვარში უნდა განახლდეს, საგზაო რუკის განახლებასთან ერთად.

პროცესის დონის მაჩვენებლები აჩვენებენ იმ ძალისხმევებს, რომლებსაც ახორციელებენ ევროკავშირის წარმომადგენლობები და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები საგზაო რუკის განხორციელების მიმართულებით. ისინი ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ ქმედებებზე, რომლებსაც ახორციელებენ ევროკავშირის წარმომადგენლობები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა შესაბამისი დონორებთან ერთად.

შედეგის ინდიკატორები, მეორეს მხრივ, განისაზღვრება თითოეულ ქვეყანაში და ისინი ასახავენ საგზაო რუკის კონკრეტული ქვეყნისათვის სპეციფიკურ პრიორიტეტებს.

ქვეყანა:		
პროცესი		
სფერო	ინდიკატორი	მიღწევა
ევროკავშირის წევრი ქვეყნების ჩართულობა საგზაო რუკის შემუშავებაში	ქვეყანაში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი საგზაო რუკის შემუშავებაში	
კონსულტაციები ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან	საგზაო რუკა შემუშავდა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრთან კონსულტაციების საფუძველზე; დაცული იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, დროულად წინასწარი შეტყობინების პრინციპები, მკაფიოდ განისაზღვრა	

	უკუკავშირისა და ინფორმაციის შემდგომი გადამოწმების მექანიზმები.	
ერთობლივი ქმედებები	ქვეყანაში წარმოდგენილი ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად არიან ჩართულნი საგზაო რუკის პრიორიტეტების განხორციელებაში	
შედეგები		
პრიორიტეტი	ინდიკატორი	მიღწევა
მიუთითეთ ...	მიუთითეთ ...	
მიუთითეთ ...	მიუთითეთ ...	
გაგრძელდეს საჭიროებისდა მიხედვით...	...	